საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

მარიკა არევაძე -კოლეგიის თავმჯდომარე

მარინე ცუცქირიძე - კოლეგიის წევრი

ინგა ნებიერიძე - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: თ. ჭ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 01.08.2022

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 064/22

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ნ. შ.-ის /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. შ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის განმარტება:**

1.1 2022 წლის 1 აგვისტოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა თ. ჭ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ნ. შ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ნ. შ. არის მისი ყოფილი მეუღლის, ნ. დ.-ის წარმომადგენელი. სასამართლოს წარმოებაშია საქმე N, სადაც მოსარჩელე მხარეს წარმოადგენენ საჩივრის ავტორის მშობლები, ხოლო მოპასუხე მხარეს - მისი ყოფილი მეუღლე ნ. დ. საჩივრის ავტორის განმარტებით, მას ამ საქმესთან არავითარი პროცესუალური კავშირი არ აქვს.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ნ. შ. უკავშირდებოდა მას კუთვნილი მობილური ტელეფონის საშუალებით, ამ ქმედებით უფრო მეტად ძაბავდა ურთიერთობას მასსა და მის ყოფილ მეუღლეს - ნ. დ.-ს შორის, მათი საერთო შვილთან ნ. ჭ.-სთან შეხვედრის თაობაზე.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატის მიერ მისთვის გაგზავნილი შეტყობინებები შეიცავს მუქარას, შანტაჟს, ცრუ ბრალდებებს და ადვოკატი მასზე ახდენს ფსიქოლოგიურ ზეწოლას. საჩივრის ავტორის განმარტებით, მან არაერთხელ გააფრთხილა ადვოკატი ნ. შ. რომ შეეწყვიტა კომუნიკაცია, თუმცა ის კვლავ აგრძელებდა მიმოწერას.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ნ. შ.-მა ეთიკის კომისიაში 2022 წლის 09 აგვისტოს წარმოდგენილ განმარტებაში მიუთითა, რომ საჩივრის ავტორი - თ. ჭ. არის მისი მარწმუნებლის ნ. დ.-ის ყოფილი მეუღლე. ადვოკატის განმარტებით, ნამდვილად მიმდინარეობს სამოქალაქო დავა (საქმე N), სადაც მოსარჩელე მხარეს წარმოადგენენ ზ. და ქ. ჭ.-ბი (თ. ჭ.-ს მშობლები), ხოლო მოპასუხე მხარეს მისი კლიენტი - ნ. დ.

2.2 ადვოკატის განმარტებით, თ. ჭ.-ს სასამართლოს გადაწყვეტილებით გამოყოფილი აქვს რამდენიმე დღე შვილის ნ. ჭ.-ს სანახავად - დღის განმავლობაში 3 საათი, კონკრეტული დრო ოფიციალურად არ არის მითითებული. ადვოკატის განმარტებით, ნ. დ. დილის სააათებში შვილთან ნ. ჭ.-სთან ერთად იმყოფებოდა ლისის ტბაზე, როდესაც თ. ჭ.-მ მოითხოვა ბავშვის დაუყოვნებლივ ნახვა. ნ. დ.-მ აუხსნა, რომ არ იმყოფებოდნენ ადგილზე და ბრუნდებოდნენ 1 საათში, რა დროსაც ბავშვის ნახვას შეძლებდა. ადვოკატის განმარტებით, ამ ფაქტის ასახსნელად, მასსა და თ. ჭ.-ს შორის პირველი სატელეფონო კომუნიკაცია განხორციელდა მაისის თვეში, მისი მარწმუნებლის, ნ. დ.-ის გადაწყვეტილებით.

2.3 ადვოკატის განმარტებით, მეორე კომუნიკაცია მასსა და თ. ჭ.-ს შორის განხორციელდა ნ. ჭ.-ს ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე. კერძოდ, ნ. ჭ.-ს ჰქონდა სიცხე და ამიტომ შეუძლებელი იყო თ. ჭ.-ს წაეყვანა ბავშვი, რის შესახებაც მას აცნობა ნ. დ.-მ და ასევე გაუგზავნა მტკიცებულება - ფორმა 100. თუმცა, ეს არ აღმოჩნდა საკმარისი თ. ჭ.-სთვის და იმუქრებოდა, რომ გამოიძახებდა პოლიციას.

2.4 ადვოკატის განმარტებით, თ. ჭ.-მ მას უპასუხა ტელეფონზე და უთხრა, რომ დაურეკავდა. თუმცა რამდენიმე წუთში მოუვიდა შეტყობინება, რომ არ სურდა მასთან საუბარი, რის გამოც კვლავ მიწერა მას, რომ სურდა გასაუბრება, რასაც მოჰყვა თ. ჭ.-ს მხრიდან რეაგირება - რომ უჩივლებდა მას. ადვოკატის მითითებით, მას მეტჯერ კომუნიკაცია თ. ჭ.-სთან აღარ ჰქონია.

2.5 ადვოკატი არ ეთანხმება თ. ჭ.-ს პრეტენზიას, რომ მან დაძაბა სიტუაცია მასსა და მის ყოფილ მეუღლეს შორის.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ნ. შ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო.

3.2 თ. ჭ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2022 წლის 01 აგვისტოს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2022 წელს. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატ ნ. შ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონითა (მუხლი 32) და დებულებით (მუხლი 30.1) გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიით, მისი ყოფილი მეუღლის ადვოკატი ნ. შ. სატელეფონო კომუნიკაციის გზით უკავშირდება. ადვოკატის მიერ მისთვის გაგზავნილი შეტყობინებები შეიცავს მუქარას, შანტაჟს, ცრუ ბრალდებებს და ადვოკატი მასზე ახდენს ფსიქოლოგიურ ზეწოლას; ასევე, ადვოკატი ცდილობს ურთიერთობა დაძაბოს მასსა და ყოფილ ცოლს შორის.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ნ. შ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

5.2.1 „კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს“ (ეთიკის კოდექსი, მუხლი 5).

5.2.2 „ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით“ („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 6.1).

5.3 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას უნდა მოქმედებდეს კანონიერების პრინციპის დაცვით, რაც გულისხმობს იმას, რომ ადვოკატის სამოქმედო არეალი შეზღუდულია კანონის ფარგლებით. ადვოკატმა ყველა შესაძლო კანონიერი საშუალება უნდა გამოიყენოს კლიენტის საუკეთესო ინტერესების დასაცავად, მისი ინტერესები ნებისმიერი პირის ინტერესებზე მაღლა უნდა დააყენოს და კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს საადვოკატო საქმიანობა.

5.4 საპროცესო კოლეგიის განმარტებით, კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატს არა თუ უფლება აქვს, არამედ ვალდებულია გამოიყენოს ყველა საშუალება, რაც არ არის აკრძალული კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით. ამასთან, ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობა უნდა იყოს ორიენტირებული კლიენტზე და მიზნად ისახავდეს კლიენტის საუკეთესო ინტერესების დაცვას.

5.5 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილებით დისციპლინურ საქმეზე N010/10 დაადგინა, რომ „ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კლიენტი და წარმოადგინოს მისი კანონიერი ინტერესები მხოლოდ მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. ადვოკატმა ყველა ღონე უნდა იხმაროს კლიენტის ინტერესების დასაცავად სასამართლოში, მაგრამ ეს მოქმედებები სასამართლოში დადგენილი ქცევის წესებით და პროცესუალური კანონმდებლობით არის განსაზღვრული, რისი დაცვის ვალდებულება ასევე ეკისრება ადვოკატს.“

5.6 განსახილველ შემთხვევაში ადვოკატი ნ. შ. ახორციელებდა საჩივრის ავტორის თ. ჭ.-ს ყოფილი მეუღლის – ნ. დ.-ის წარმომადგენლობას საჩივრის ავტორის მშობლებსა და ნ. დ.-ს შორის არსებულ დავაში, ბავშვის ნახვის დროის განსაზღვრასთან დაკავშირებით. ადვოკატი ადასტურებს, რომ კლიენტის თხოვნით, კლიენტისვე ინტერესებიდან გამომდინარე, რამდენჯერმე განახორციელა სატელეფონო ზარი ნ. დ.-ის ყოფილ მეუღლესთან - თ. ჭ.-სთან. მის მიზანს წარმოადგენდა კლიენტის დავალების შესრულება - აეხსნა თ. ჭ.-სთვის, თუ რატომ ვერ შეძლებდა კონკრეტულ მომენტში შვილის ნახვას. ადვოკატი არ ადასტურებს საჩივრის ავტორისათვის ფსიქოლოგიური ზეწოლისა და მის მიმართ მუქარისა თუ შანტაჟის ფაქტს.

5.7 „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-16 მუხლის მიხედვით „დისციპლინური წარმოების მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებით გაეცნონ საქმის მასალებს და გადაიღონ მათი ასლები, განაცხადონ აცილებები, წარადგინონ მტკიცებულებები, ეთიკის კომისიას მიმართონ შუამდგომლობებით, მისცენ ახსნა-განმარტებები და წარადგინონ საკუთარი მოსაზრებები დისციპლინური წარმოების დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე“, ხოლო ამავე დებულების მე-17 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „მტკიცებულებებს დისციპლინურ კოლეგიას წარუდგენენ მხარეები“. საქმისწარმოების საპროცესო ეტაპზე, ეთიკის კომისია გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს მხარეთა პოზიციებიდან და მათ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან გამომდინარე.

5.8 ეთიკის კომისია ეყრდნობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განჩინებას №2b/183-11, რომლის მიხედვით ,,მტკიცების ტვირთს მატერიალური კანონი განსაზღვრავს, კერძოდ, ეს ის შემთხვევებია, როდესაც კანონით გათვალისწინებული შემადგენლობის არსებობის პრეზუმფცია მოქმედებს, ხოლო კანონით გათვალისწინებული შემადგენლობისგან განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი იმას ეკისრება, ვინც საკანონმდებლო წესრიგიდან არსებულ გადახრას ამტკიცებს.“ ამასთან, სსსკ-ის 102.1 მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

5.9 კოლეგიის შეფასებით, ადვოკატის სადავო ქცევის დამტკიცების მტკიცების ტვირთი აკისრია საჩივრის ავტორს, რომელმაც თავისი პოზიციის დამადასტურებლად კოლეგიას

წარმოუდგინა მტკიცებულება - ადვოკატის მიერ მიწერილი სატელეფონო შეტყობინების სქრინი. აღნიშნული მტკიცებულების შეფასების შედეგად, კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატ ნ. შ. კლიენტის პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის მიმართ არ განუხორციელებია არაკანონიერი, პროფესიული რეგულაციებით აკრძალული ქმედება. შესაბამისად, ადვოკატ ნ. შ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა.

5.10 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32-ე, 33-ე მუხლებით; დებულების 30.2, 40.1 მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №064/22 ადვოკატ ნ. შ.-ის მიმართ /სიითი №/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /მარინე ცუცქირიძე/

კოლეგიის წევრი: /ინგა ნებიერიძე/